ინფორმაცია გასაჩივრების წესის შესახებ

საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის თანახმად, საჯარო ინფორმაციის გაცემაზე უარის თქმის შემთხვევაში ორგანიზაცია ვალდებულია გადაწყვეტილების მიღებიდან 3 დღის ვადაში პირს წერილობით განუმარტოს მისი უფლებები და გასაჩივრების წესი, ასევე მიუთითოს ის სტრუქტურული ქვედანაყოფი ან საჯარო დაწესებულება, რომელთანაც წარმოებდა კონსულტაცია ინფორმაციის გაცემაზე უარის თქმის გადაწყვეტილების მიღებისას.

დაინტერესებულ მხარეს უფლება აქვს, კანონით გათვალისწინებულ ვადაში, გაასაჩივროს საჯარო ინფორმაციის გაცემაზე უარის თქმის შესახებ ადმინისტრაციული ორგანოს გადაწყვეტილება.

საჯარო ინფორმაციის გაცემაზე უარის თქმის შესახებ ადმინისტრაციულ აქტზე პირის მიერ წარდგენილი ადმინისტრაციული საჩივარი უნდა აკმაყოფილებდეს საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 181-ე მუხლით დადგენილ მოთხოვნებს.